



პოლ ოსტერი
ჯონ მაქსველ კუტზეე

აქ და ახლა

წერილები (2008-2011)

დიფენს
გიგლოთუქა

პოლ ოსტერი
ჯონ მაქსველ კუტზეე
აქ და ახლა
წერილები (2008-2011)

Paul Auster
J. M. Coetzee
HERE AND NOW
Letters (2008-2011)

მთარგმნელები: ქეთევან ქანთარია (პოლ ოსტერის წერილები),
ირმა ტაველიძე (ჯონ მაქსველ კუტზეეს წერილები)

რედაქტორი ირმა ტაველიძე
სერიის დიზაინერი ბესიკ დანელია
დიზაინერი ნინო გურული

© 2013 by Paul Auster (with respect only to the letters written by Paul Auster)
© 2013 by J. M. Coetzee (with respect only to the letters written by J. M. Coetzee)
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2013
ყველა უფლება დაცულია.

ISSN 2298-0210
ISBN 978-9941-11-394-9

www.diogene.ge

აქ და ახლა

წერილები (2008-2011)

მართალია, ეს მწერლები წლების მანძილზე ერთმანეთის წიგნებს კითხულობდნენ, ურთიერთობა კი 2005 წლიდან ჰქონდათ (ოსტერმა კუტზეეს სემუელ ბეკეტის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ოთხტომეულის ერთ-ერთი ტომისთვის წინასიტყვაობის დაწერა შესთავაზა; ამ გამოცემას ის „გროუფ პრესისთვის“ ამზადებდა), ერთმანეთს პირველად მხოლოდ 2008 წელს შეხვდნენ. ამ წლის თებერვალში ოსტერი და მისი ცოლი, რომანისტი და ესეისტი სირი ჰუსტვედტი ავსტრალიაში, ადელაიდის ლიტერატურულ ფესტივალს დაესწრნენ. ნიუ-იორკში დაბრუნებულმა ოსტერმა მალე კუტზეეს წერილი მიიღო:

„რალაც მინდა შემოგთავაზო. არ ვიცი, დაგაინტერესებს თუ არა ჩემი წინადადება. რას იტყვი ისეთ თანამშრომლობაზე, რომელიც უფრო სიღრმისეული იქნება, ვიდრე ბეკეტის „გროუვისეულ“ გამოცემაზე მუშაობა იყო? ამგვარი თანამშრომლობა ჯერ არავისთან მიცდია... მაგრამ ასე მგონია, რომ მე და შენ თავს კარგად შევიქცევთ და, თუ ღმერთმა ინება, იქნებ ერთმანეთიც კი შთავაგონოთ.

ამნუთას განსაკუთრებულს ვერაფერს გეუბნები, მაგრამ თუ იდეა მოგეწონება, მაშინ დარწმუნებული ვარ, სხვადასხვა შემოთავაზებაც შეეძლება. იქნებ თავადაც გაქვს შემონახული რამე – ყოველი შემთხვევისთვის, სანერი მაგიდის უჯრაში.

მეჩვენება, რომ ამ გზით მეგობრობის გაღრმავება და გაძლიერება შეიძლება, როცა ადამიანებს ერთმანეთისგან დიდი მანძილი ამორებთ“.

ოსტერი ამ წინადადებით დაინტერესდა. საპასუხო წერილში მან კუტზეეს ორივესთვის საინტერესო თემებზე ხანგრძლივი დიალოგის წამოწყება შეთავაზა: „ეს ალბათ ისეთი დისკუსიები იქნება, როგორც პირისპირ შეხვედრისას გამოგვივიდოდა, ერთ ქალაქში რომ გვეცხოვრა. სადილობის დროს აზრების გაცვლა-გამოცვლას არ ვგულისხმობ – უფრო სერიოზულ, უფრო საფუძვლიან მსჯელობას გთავაზობ“.

კუტზეე დათანხმდა. ასე დაიწყო ის მიმონერა, რომელიც ამ წიგნშია წარმოდგენილი. თავდაპირველი ჩანაფიქრით, პროექტი ორწლიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მეორე წლის დასასრულს გადაწყდა, რომ ისინი მიმონერას კიდევ ერთი წლის განმავლობაში გააგრძელებდნენ. ოსტერმა კუტზეეს მისწერა: „როგორც კი წარმოვიდგენ, რომ წერილების წერა უნდა დავასრულოთ, სევდა მიპყრობს. დიდ სიამოვნებას მანიჭებდა ის, რასაც ამდენ ხანს ვაკეთებდით. ახლა, ორი წლის თავზე, მეგობრად გთვლი, ნამდვილ მეგობრად და არ მინდა, რომ ურთიერთობა გავწყვიტოთ“. კუტზეემ უპასუხა: „რა თქმა უნდა, მე და შენ ნამდვილი მეგობრები ვართ. თუ გინდა, ერთმანეთი ძმებად ჩავთვალოთ და როცა შევხვდებით, ჩვენი ძმობა სისხლის შერევის რიტუალით განვამტკიცოთ“.

ეს წერილებიც მეგობრობის შესახებ მსჯელობით იწყება.

ძვირფასო პოლ,

მეგობრობაზე ვფიქრობდი: როგორ ჩნდება, რატომ გრძელდება ზოგ შემთხვევაში ასე დიდხანს, იმ სასიყვარულო ურთიერთობებზე დიდხანს, რომელთა მკრთალ ანარეკლადაც ზოგჯერ (შეცდომით) თვლიან ხოლმე. მინდოდა, შენთვის წერილი მომეწერა და ამ ყველაფერზე მესაუბრა, საუბარი კი ასეთი მოსაზრებით დამეწყო: იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მეგობრობა საზოგადოების ცხოვრებაში და რამდენს ნიშნავს ჩვენთვის, განსაკუთრებით ბავშვობის წლებში, საოცარია, რა ცოტაა დაწერილი ამ თემაზე.

მერე კი საკუთარ თავს ვკითხე, მართლა ასეა თუ არამეთქი. ჰოდა, სანამ სანერად დაჯვადებოდი, ბიბლიოთეკაში წავედი და რაღაც-რაღაცები სახელდახელოდ გადავამოწმე. მერე და, რა ვნახე?! თურმე ბოლომდე შევეცდარვარ. ბიბლიოთეკის კატალოგში ამ თემაზე დაწერილი წიგნები დამხვდა – უამრავი წიგნი, რომელთა შორის ახლად გამოსულელებიც მრავლად იყო. თუმცა როცა მომდევნო ნაბიჯი გადავდგი და ამ წიგნებს თვალი გადავაველე, საკუთარი თავის პატივისცემა მეტ-ნაკლებად დამიბრუნდა. საბოლოო ჯამში,

მართალი ვყოფილვარ, ან სანახევროდ მართალი: ის, რაც ამ წიგნებში მეგობრობაზე ეწერა, უმეტესწილად, ნაკლებად საინტერესო იყო. მეგობრობა, როგორც ჩანს, დღემდე ერთგვარ გამოცანად რჩება: ვიცით, რომ მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ ვარაუდები გვაქვს იმის თაობაზე, თუ რატომ უმეგობრდებიან ადამიანები ერთმანეთს და მეგობრებადვე რჩებიან.

(რას ვგულისხმობ, როცა ვამბობ, რომ ის, რაც აქამდე დაწერილა, ნაკლებად საინტერესოა? შეადარე მეგობრობა სიყვარულს. ათასი საინტერესო რამის თქმა შეიძლება სიყვარულზე. მაგალითად: კაცებს ის ქალები უყვარდებათ, რომლებიც რაღაცით მათ დედებს ჰგვანან, უფრო სწორად, ის ქალები, რომლებიც მათ დედებს ჰგვანან და ამავე დროს საერთოდ არ ჰგვანან, ერთდროულად არიან და არც არიან მათი დედები. მართალია? ალბათ კი, ალბათ არა. საინტერესოა? უდავოდ. ახლა მეგობრობას მივუბრუნდეთ. ვის ირჩევენ კაცები მეგობრებად? წიგნებში წერია, დაახლოებით იმავე ასაკის სხვა კაცებს, რომლებსაც მსგავსი ინტერესები აქვთო. მართალია? ალბათ კი. საინტერესოა? უდავოდ არა).

მოდით, მეგობრობის შესახებ იმ მოსაზრებებს ჩამოვთვლი, რომლებიც ბიბლიოთეკაში სტუმრობისას მართლაც საინტერესოდ მომიჩვენა.

არისტოტელე ამბობს, კაცი უსულო საგანთან ვერ იმეგობრებსო (ეთიკა, მე-8 თავი). რა თქმა უნდა, ვერა! ოდესმე ვინმემ თქვა, რომ იმეგობრებდა? მიუხედავად ამისა, მაინც საინტერესოა: უცებ ვხედავთ, რა არის თანამედროვე ენის ფილოსოფიის ინსპირაციის წყარო. 2400 წლის წინ არისტოტელე ამტკიცებდა, რომ ისინი, რაც ფილოსოფიურ პოსტულატებს ჰგავდა, შეიძლებოდა მხოლოდ გრამატიკის წესები ყოფილიყო

და მეტი არაფერი. მისი თქმით, წინადადებაში „მე ვმეგობრობ იქსთან“, იქსი აუცილებლად სულიერი არსებითი სახელი უნდა იყოს.

ჩარლზ ლემი ამბობს, შეიძლება მეგობრები გყავდეს, მაგრამ მათი ნახვა არ გინდოდესო. მართალია და აგრეთვე საინტერესოც – კიდევ ერთი რამაა, რითიც მეგობრული გრძნობა ეროტიკული ლტოლვისგან განსხვავდება.

მეგობრები, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში მცხოვრები მამრობითი სქესის მეგობრები, არ საუბრობენ იმაზე, თუ რას გრძნობენ ერთმანეთის მიმართ. აბა, შეადარე შეყვარებულების უხვსიტყვაობას! ამ კუთხით საინტერესო არაფერია. მეგობრის სიკვდილის დროს კი როგორ მძაფრად იღვრება დარდი და ვარამი: „ვაი, რომ მეტად გვიანია!“ (მონტენი ლა ბოესიზე, მილტონი ედუარდ კინგზე). (შეკითხვა: იქნებ სიყვარული ვნების ამბივალენტური ბუნების გამოა სიტყვამრავალი (შექსპირი, სონეტები), მაშინ, როცა მეგობრობა ჩუმია, რადგან სწორხაზოვანია, ყოველგვარ ამბივალენტურობას მოკლებული?)

და ბოლოს, კრისტოფერ ტაიჯენსის მოსაზრება ფორდ მედოქს ფორდის „აღლუმის დასასრულში“: კაცი ქალთან იმიტომ წვება, რომ მასთან საუბარი შეძლოსო. აი, რა იგულისხმება: ქალის საყვარლად გახდომა პირველი ნაბიჯია, მნიშვნელობა მხოლოდ მეორე ნაბიჯს აქვს – ქალის მეგობრად გადაქცევას; იმ ქალთან მეგობრობა კი, რომელთანაც არ წოლილხარ, პრაქტიკულად, შეუძლებელია, რადგან მეტად ბევრი რამ არის უთქმელი და ეს ყველაფერი ჰაერში ტრიალებს.

ასეთი რთული კი არის რაიმე საინტერესოს თქმა მეგობრობაზე, მაგრამ ერთ დასკვნამდე მისვლა მაინც შეგვიძლია: სიყვარულისა თუ პოლიტიკისაგან განსხვავებით, რომლებიც

არასდროს არიან ისინი, რაღაც მოჩანან, მეგობრობა ის არის, რაღაც მოჩანს. მეგობრობა გამჭვირვალეა.

მეგობრობის შესახებ ყველაზე საინტერესო მოსაზრებები ანტიკური სამყაროდან მოდის. რატომ არის ასე? იმიტომ, რომ ანტიკურ ხანაში ადამიანებისთვის ფილოსოფიური პოზიცია, თავისი არსით, სკეპტიკური არ იყო, შესაბამისად, ისინი არ თვლიდნენ, რომ მეგობრობა რაღაც სხვა არის და არა ის, რაღაც მოჩანს; არც იმას ასკვნიდნენ, თუ მეგობრობა ის არის, რაღაც მოჩანს, მაშინ ფილოსოფიის საგნად ვერ გამოდგებაო.

საუკეთესო სურვილებით,

ჯონი